

სამეცნიერო ჟურნალი

*„Scripta manent“*

*საქართველო*

№1 (9)

2011

ჟურნალი დაფუძნებულია  
დია დიპლომატიის ასოციაციის მიერ



*Scientific magazin*

*Научный журнал*

*„Scripta manent“*

*GEORGIA*

*ГРУЗИЯ*

*№1 (9)*

*2011*

*OPEN DIPLOMATIC ASSOCIATION*

*АССОЦИАЦИЯ ОТКРЫТОЙ ДИПЛОМАТИИ*

ISSN 1987-7390  
UDK (უაკ) 81+82  
S-41

## სარედაქციო კოლეგია:

მაია ჩხეიძე

მთავარი რედაქტორი

რუსუდან თაბუკაშვილი

მთავარი რედაქტორის მოადგილე

ია ჩიქვინიძე

პასუხისმგებელი მდივანი

## რედაქციის წევრები:

ვიოლა ფურცელაძე, ჰანს რუდოლფ ფლუპი, კულაუ ბიბიტოვა, სილვია ბოტევა,  
ტანია ბრისჰამერი, ქეთევან გაბუნია, ია გურდული, მარია მიხაილოვა,  
ტატიანა მებრელიშვილი, ალბა ბრაცინო, ალესანდრა სპაღაფორა, გიორგი ყუფარაძე.

## მისამართი:

საქართველო, თბილისი, 0175, კოსტავას 77, კორპუსი VI, სართული VIII

ტელ. : 36 51 76

E-mail. : r.tabukashvili@gmail.com

## ტექნიკური უზრუნველყოფა: კარინა ხარაზიშვილი

E-mail. : k-kharazishvili@mail.ru

ჟურნალის ელექტრონული ვერსია განთავსებულია ღია დიპლომატიის ასოციაციის ვებგვერდზე:  
[www.odageorgia.ge](http://www.odageorgia.ge)

**Editorial Board:**

Maia Chkheidze, Viola Purtseladze, Rusudan Tabukashvili, Ia Chikvinidze, Hans Rudiger Fluck, Kulpash Beibitova, Tania Griebhammer, Ketevan Gabunia, Ia Burduli, Maria Mikhailova, Silvia Boteva, Tatiana Megrelishvili, Alba Graziano, Alessandra Spadafora, Georgi Kuparadze

Adress: Kostava str. 77, 0175, Tbilisi, Georgia

Tel. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Electronic version: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

**Редакционная коллегия:**

Маия Чхеидзе, Виола Пурцеладзе, Русудан Табукашвили, Ия Чиквинидзе, Ганс Рудигер Флук, Кульпаш Бейбитова, Таня Грисхаммер, Кетеван Габуня, Ия Бурдули, Мария Михайлова, Сильвия Ботева, Татьяна Мегрелишвили, Альба Грациано, Алессандра Спадафора, Георгий Купарадзе

Адрес: Ул. Костава 77, 0175, Тбилиси, Грузия

Тел. : (995 32) 36 51 76

E-mail: r. tabukashvili@gmail. com

Электронная версия: [www. odageorgia. ge](http://www.odageorgia.ge)

## რელაქციისაბან

ჟურნალი აქვეყნებს როგორც ტრადიციულ, ისე თანამედროვე ლინგვისტიკისა და ლიტერატურათმცოდნეობის ყველა მიმდინარეობაზე დაფუძნებულ თეორიულ თუ პრაქტიკულ ნაშრომებს და ადგილს უთმობს აგრეთვე რეცენზიებსა და თარგმანებს.

პროფესიონალ ლინგვისტთა და ლიტერატურათმცოდნეთა ნაშრომების გამოქვეყნების გარდა ჟურნალი მიზნად ისახავს ფილოლოგიის, როგორც ერთ-ერთი ძირძველი ჰუმანიტარული მეცნიერების პოპულარიზაციას მომავალ თაობებში. ჟურნალის რედაქლეგია განსაკუთრებული ინტერესითა და ყურადღებით ეკიდება დოქტორანტთა, მაგისტრანტთა და სტუდენტთა ნაშრომებს.

## სარჩევი

<b>ციური ახელედიანი, ნონა რუაძე</b> ინგლისური ენის ლექსიკის გავრცელება ფრანგულ ლინგვო-კულტურულ გარემოში.....	9
<b>ირინა ბაგდონიენე</b> დესტრუქციული ხელოვნების მოდელი ჩეხოვის მოთხრობაში „შავი ბერი“.....	14
<b>მარინა ზორანიანი</b> მოტივირებული შესიტყვებების პრობლემისათვის (ზედსართავი სახელების სუფიქსის -like გამოყენებით).....	20
<b>ელენა იაროსლავოვა</b> უწყვეტი უცხოენოვანი განათლების თანამედროვე ეტაპის ამოცანები როგორც მომავალი უმაღლესი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის თვითრეალიზაციის პირობები.....	24
<b>სვეტლანა კოლოვა</b> სოციოკულტურული განათლება როგორც შესასწავლი ენის ქვეყანათა კულტურისა და ტრადიციების გადმოცემის ძირითადი ხერხი.....	28
<b>ნინო ლომსაძე</b> კომპრესია – სპეციფიკური ენობრივი მოვლენა.....	32
<b>თამარ მაჭავარიანი</b> ეფექტური ვერბალური კომუნიკაცია და კომუნიკაციური ბარიერები .....	37
<b>თამარ მაჭავარიანი</b> კომუნიკაციური კომპეტენცია და მისი როლი ეფექტურ ვერბალურ კომუნიკაციაში....	44
<b>მეგი მჭედლიშვილი</b> ფატიკური ფუნქციის ლინგვისტური სტატუსი.....	52
<b>გულნარა სადიხოვა</b> ფრანგული ფრაზეოლოგიის ისტორიისა და მისი განვითარების მიმოხილვა.....	56
<b>თინათინ სინჯიაშვილი, მანანა ივანისელი</b> ზმნისაგან ნაწარმოები სიტყვების ბუდის სემანტიკური სტრუქტურა თანამედროვე ინგლისურ ენაში.....	61
<b>ხათუნა ტაბატაძე</b> თეოდორე სოლოგუბის იდიოლექტის კულტურული დომინანტები (რომანის „წვირილფეხა ეშმაკი“ მასალაზე).....	66
<b>ნინო ჭრიკიშვილი</b> ემილიანური გლოსების ფონეტიკურ-მორფოლოგიური მახასიათებლები .....	73
<b>თამარ ხეცურიანი</b> კომენტარი ჯონ კრაულის ახალ ესსეთა კრებულზე.....	77
<b>გიორგი ყუფარაძე, მათა ტურიაშვილი</b> ხმოვანთა საწარმოთქმო თავისებურებანი კანადურ ინგლისურში.....	86
<b>ქეთევან ჯაში, ნინო გურგენიძე</b> ცრუ იოკონიმები და მათი ეტიმოლოგიური კვლევა ფრანგულსა და ქართულ ენებში....	94
<b>ქეთევან ჯაში, ნანა ლომია</b> არავერბალური კომუნიკაციის თავისებურებანი იტალიურ ენაში.....	100

## Contents

<b>Tsiuri A. Akhvlediani, Nona N. Rouadze</b> English Lexic Prevalence in French Lingvocultural Sphere .....	9
<b>Irina S. Bagdoniene</b> The Model of Destructive art in A. Chekhov's story „The Black Monk“.....	14
<b>Marina G. Zoranian</b> Motivated Attributive Collocations with Suffix -like.....	20
<b>Elena N. Yaroslavova</b> Actual Task at the present Stage of Lifelong Foreign Language Development and Its Role in Higher School Students Self-Realisation .....	24
<b>Svetlana M. Colova</b> Sociocultural Education as a Main Method of Culture of Translation and Countries Traditions of Studied language.....	28
<b>Nino R. Lomsadze</b> Compression – Specific Linguistic Phenomenon.....	32
<b>Tamar Sh. Matchavariani</b> Effective Verbal Communication and Communication Barriers .....	37
<b>Tamar Sh. Matchavariani</b> The Role of Communicative Competence in Effective Verbal Communication.....	44
<b>Megi B. Mchedlishvili</b> The Linguistic Status of Phatic Function.....	52
<b>Gulnara Sadikhova</b> French Phraseology History and Its Developing Review.....	56
<b>Tinatin V. Sinjiashvili, Manana Sh. Ivaniseli</b> Semantic Structure of the Verbal Word-Formative Family in the Modern English Language.....	61
<b>Khatuna Sh. Tabatadze</b> Dominant Cultural Idiolect Theodor Sologub (Based on the Novel „Little Demon“).....	66
<b>Nino G. Chrikishvili</b> Emilian Glosses phonetical and Morphological Characteristics.....	73
<b>Tamar U. Khetsuriani</b> Comment on John Crowley's Collection of New Essays on Winesburg, Ohio.....	77
<b>Giorgi N. Kuparadze, Maia Turiashvili</b> Pronunciation Peculiarities of Vowels in Canadian English.....	86
<b>Ketevan N. Djachy, Nino L. Gurgenidze</b> False Toponymy and Their Etymological Research in French and Georgian Languages .....	94
<b>Ketevan N. Djachy, Nana K. Lomia</b> Particularity of Nonverbal Communication in the Italian Language.....	100

## Содержание

<b>Циури Ахвледиани, Нона Руадзе</b> Распространенность английской лексики во французской лингвокультурной среде.....	9
<b>Ирина Багдоиене</b> Модель деструктивного искусства в повести А. П. Чехова „Черный монах“.....	14
<b>Марина Зораян</b> К вопросу о мотивированности атрибутивных словосочетаний с суффиксом -like .....	20
<b>Елена Ярославова</b> Актуальные задачи современного этапа развития непрерывного иноязычного образования как условия самореализации будущего специалиста высшей квалификации.....	24
<b>Светлана Колова</b> Социокультурное образование как основной способ трансляции культуры и традиций стран изучаемого языка .....	28
<b>Нино Ломсадзе</b> Компрессия – специфическое лингвистическое явление.....	32
<b>Тамар Мачавариани</b> Эффективная вербальная коммуникация и коммуникативные барьеры .....	37
<b>Тамар Мачавариани</b> Коммуникативная компетенция и ее роль в эффективной вербальной коммуникации.....	44
<b>Меги Мchedlishvili</b> Лингвистический статус фатической функции .....	52
<b>Гульнара Садыхова</b> История французской фразеологии и обзор ее развития.....	56
<b>Тинатин Синджиашвили, Манана Иванисели</b> Семантическая структура отглагольного словообразовательного гензда в современном английском языке .....	61
<b>Хатуна Табатадзе</b> Культурные доминанты идиолекта Федора Сологуба (на материале романа „Мелкий бес“).....	66
<b>Нино Чрикишвили</b> Фонетические и морфологические особенности Эмилианских Глоссов .....	95
<b>Тамар Хецуриани</b> Комментарий к сборнику новых эссе Джона Краули.....	77
<b>Георгий Купарадзе, Майя Туриашвили</b> Особенности произношения гласных звуков в Канадском английском.....	86
<b>Кетеван Джаши, Нино Гургенидзе</b> Ложные ойконимы и их этимологическое исследование во французском и грузинском языках .....	94
<b>Кетеван Джаши, Нана Ломя</b> Особенности невербальной коммуникации в итальянском языке.....	100



## ცრუ ოიკონიმები და მათი ეტიმოლოგიური კვლევა ფრანგულსა და ქართულ ენებში

ქეთევან ჯაში  
ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი  
რომანისტიკის დეპარტამენტი  
ი. ჭავჭავაძის პრ. 32, 0179, თბილისი,  
საქართველო  
ტელ: 899 508 337  
E-mail: kdjachy@yahoo.com

ნინო გურგენიძე  
შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერ-  
სიტეტი  
ევროპეისტიკის ფაკულტეტი  
ახმედ მელაშვილის 13, 6010, ბათუმი, საქა-  
რთველო  
ტელ: 892 111 185  
E-mail: ngourguenidze@yahoo.fr

### რეზიუმე

ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები ქვეყნისა და ერის ისტორიას, კულტურისა და ტრადიციას ასახავს. ნაწარმოებში სხვადასხვა სტილისტური ხერხით ხდება პერსონაჟის, სიუჟეტისა და ისტორიული ფაქტის გადმოცემა. ისტორიულ ფაქტთა გადმოცემა ხშირად ხორციელდება ოიკონიმების (oikia – ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს „ხალხს“, „საცხოვრებელს“) საშუალებით, რამდენადაც ქალაქის სახელწოდება საშუალებას იძლევა შეიქმნას ზოგადი წარმოდგენა ერის კულტურაზე, ხელოვნებასა და ისტორიაზე.

არსებობენ მწერლები, რომლებიც მათ მიერ შექმნილი სამყაროს, პერსონაჟების, არარსებული ფაქტების (სიუჟეტების), ემოციების გადმოსაცემად თვითონ ქმნიან ოიკონიმებს (არარსებული ქალაქის სახელწოდებებს), რომლებსაც ცრუ ოიკო-

ნიმები შეიძლება ეწოდოს. შექმნილი სიუჟეტის და პერსონაჟის ხასიათიდან გამომდინარე ხდება ქალაქის სახელწოდების მოტივირება. ასეთ შემთხვევაში ოიკონიმია ხდება ავტორის ინდივიდუალური სტილის გამომხატველი.

ცრუ ოიკონიმია სპეციფიკური ენობრივი ფენომენია და მისი კვლევა ისევე აქტუალურია როგორც პერსპექტიული.

### საკვანძო სიტყვები:

ცრუ ოიკონიმები, ოკაზიონალური ოიკონიმები, ლიტერატურული ონომასტიკა, ანტროპონიმური ოიკონიმები.

### შესავალი

ენა წარმოადგენს არა მარტო ენობრივი კომუნიკაციის და სამყაროს შეცნობის საშუალებას, არამედ ერის მახასიათებელსაც. კულტურის ცვლილებასთან ერთად ხდება ენის მოდიფიცირება. ყოველდღიურ კომუნიკაციაში გამოიყენება საკუთარი სახელები, რომლებსაც მიეკუთვნება რეალურად არსებული ადამიანის, ქალაქის, მდინარის, მთისა და ა. შ. აღმნიშნავი სიტყვები, აგრეთვე ადამიანის ფანტაზიის შედეგად შექმნილი სიტყვები, რომლებითაც მწერლები ასახელებენ ლიტერატურულ პერსონაჟებს, საგნებსა და არარეალურ სიუჟეტებს. ყოველი ლიტერატურული ნაწარმოები განსხვავებულ ხასიათს ატარებს, და მასში ვლინდება მწერლის ორიგინალობა. ისევე როგორც იგავებში, ზღაპრებშიც შესაძლებელია უსულო საგნების პერსონიფიცირება. ასევე მისაღებია ოიკონიმების შექმნა ნაწარმოების კონიტიურობის ან უბრალოდ მეტაფორული

მრავალ-ფეროვნებისათვის. ოიკონიმია, საკუთარი სახელია, რომელიც აღნიშნავს დასახლებულ პუნქტს, იმის მიუხედავად ბუნებრივადაა შექმნილი იგი, თუ ადამიანის წამოსახვის ნაყოფია. ყოველ ტერიტორიას საკუთარი სახელი აქვს, რომელიც განასხვავებს მას სხვა ტერიტორიისაგან. ოიკონიმები ეტიმოლოგიურად უკავშირდება ისტორიულ ფაქტებს, ქვეყნის გეოგრაფიულ მდებარეობას, ეთნოსს და ეპოქის ცვალებადობასთან ერთად სინქრონულად იცვლება ან ინარჩუნებს პირველად სახეს. ლიტერატურაში ოიკონიმების საშუალებით მწერალი გადმოგვცემს მოკლე ინფორმაციის ქალაქის ღირშესანიშნაობების ისტორიის შესახებ (Paris მკითხველის ცნობიერებაში ასოცირდება ეიფელის კოშკთან, ლუვრის მუზეუმთან, პარიზის ღვთისმშობილის ტაძართან), არსებობს შემოქმედება, რომელშიც მწერალი თვითონ ქმნის სახელს ოიკონიმის იგი ახალი იყენებს სამყაროს ან არსებული ტერიტორიის გადატანითი მნიშვნელობის გამოსახატავად. ასეთ შემთხვევაში ამ ფენომენს “ცრუ ოიკონიმია” ეწოდება. ავტორი ცრუ ოიკონიმებს იყენებს:

1. ილუზიისა და ფანტაზიის მრავალ-ფეროვნების შესაქმნელად.
2. ლიტერატურული ნაწარმოების სიუჟეტის გამძაფრებისა და ხელოვნური ესთეტიკისთვის.

### **ძირითადი ნაწილი**

ავტორი ნაწარმოებში ქმნის სახელს მოცემული პერსონაჟების ტრადიციისა და ეთნიკურ საფუძველზე დაყრდნობით ანდა სიუჟეტიდან გამომდინარე, ამიტომ ისევე როგორც რეალური ოიკონიმები, თვითშექმნილ ქალაქთა სახელებიც ეტიმოლოგიურ ანალიზს მოითხოვს ლინგვისტური თვალსაზრისით სხვა მეცნიერებების

სინთეზის ფონზე როგორებიცაა ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია. გეოგრაფია, ისტორია და ფსიქოლოგია. ამის შედეგად კვლევა იღებს კომპლექსურ ხასიათს და საბოლოო შედეგი უფრო სარწმუნო ხდება. დღესდღეობით საკუთარი სახელები თავისებურ ლექსიკურ-გრამატიკულ კატეგორიას წარმოადგენს, რომელიც შეიძლება გამოვიკვლიოთ სხვადასხვა ასპექტით ენასა და მეტყველებაში, დიალექტსა და სალიტერატურო ენაში. განსაკუთრებით საინტერესოა ცრუ ოიკონიმთა კვლევა ლირიკულ და დრამატულ ნაწარმოებებში. ლიტერატურულ ტექსტებში ოიკონიმებს განსაკუთრებული სპეციფიკა აქვთ, ისინი იწვევენ ღრმა და მისტიკურ შეგრძნებებს, რომელთა აღქმაც მკითხველთა წარმოსახვას განაპირობებს. ყოველი მწერალი იყენებს ქალაქის სახელს, საკუთარი შემოქმედების შეჯერებისა და ნაწარმოებში მოცემული კონკრეტული კონიტიური აზრის ამოსაცნობად. ნომინაცია განსაზღვრავს სიუჟეტში მოცემულ ეპოქას, ისტორიას და კულტურას. ლიტერატურულ ნაწარმოებში მას ავტორი ინდივიდუალური კლასიფიკაციის ფონზე გადმოგვცემს.

ოიკონიმებს ლიტერატურულ ნაწარმოებში შეისწავლის ლიტერატურული ონომასტიკა. ეს ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს სახელის დარქმევის ხელოვნებას, რომელიც შეიძლება განვსაზღვროთ როგორც ავტორის მიერ შემოთავაზებული ობიექტის სუბიექტური ანარეკლი. ლიტერატურული ონომასტიკა გადმოგვცემს დედამიწის თითოეული ნაწილის ისტორიასა და ფაქტებს სახელებისა და ენობრივი ნორმების საშუალებით. ოიკონიმებსა და ობიექტებს შორის რეალური კავშირი არსებობს, ხოლო ცრუ ოიკონიმებს და ტერიტორიას შორის კავშირს თვით ავტორი ამყარებს. მწერლები ხშირად ინტერპრე-

ტაციულ ონიმებს იყენებენ. ლიტერატურული ონიმები ტექსტური სიუჟეტის მთავარი მხარეა, სახელის საშუალებით მწერალი გადმოგვცემს კოგნიტიურ ინფორმაციას.

ლიტერატურაში გამოყენებული საკუთარი სახელები – პოეტონიმები კვლევის საინტერესო ობიექტია, როგორც ლინგვისტიკის, ასევე ლიტერატურათმცოდნეობის თვალსაზრისით. ლიტერატურული ოიკონიმები თავისებურად წარმოებულ სახელებს წარმოადგენს, რომელთა სტრუქტურა დამოკიდებულია მწერლის შეხედულებაზე. მწერალი მათ საკუთარი და ენობრივი ფუნქციების შერწყმით ქმნის. ოიკონიმები, ისევე როგორც სხვა დანარჩენი ონიმები განსაკუთრებული ფუნქციით გამოირჩევიან. შემოქმედებითი ცრუ ოიკონიმები რეალური ოიკონიმებისაგან განსხვავებით სხვადასხვა სტილისტურ საშუალებას წარმოადგენენ, ისინი სამყაროს, სიუჟეტს, ტერიტორიას გადატანითი ნიშნებით ახასიათებენ. ლინგვისტები თვლიან, რომ ლიტერატურაში გამოყენებული ნომინაციები, რეალურ ცხოვრებაში არსებული ავტორისეულად აღქმული სახელებია. შესაძლებელია გამოვყოთ სხვადასხვა ტიპის ცრუ ოიკონიმები:

1. გამომხატველი ცრუ ოიკონიმები – ავტორი არსებულ ქალაქში მისი გმირების მოქმედებას გადმოგვცემს;

2. ოკაზიონალური ოიკონიმები – ავტორი სხვადასხვა სიტყვების, პრეფიქს-სუფიქსის ნაერთით, ნაწილაკების დართვით, დენოტატისათვის შესაფერის არარსებულ სახელს იღებს;

3. ანტროპოპონიმიური ოიკონიმები – რომლებსაც ავტორი ქმნის პერსონაჟის სიძლიერისა და ზეგავლენის გამოსახატავად.

გამომხატველი ცრუ ოიკონიმები გამოირჩევა სემანტიკური ორპლანიანობით. ისინი არამარტო მითითებულ ტერიტო-

რიას აღნიშნავს, არამედ არსებულ ქალაქში მიმდინარე ფაქტს, ნაწარმოებს განსაზღვრავს, აძლევს სახასიათო მიმართულებებს, ხშირად ირონიულს, სატირულს ან სიმბოლურს. ლიტერატურულ ნაწარმოებში აუცილებელი ხდება ტოპონიმის შესწავლა კომუნიკაციურ-კონცეპტუალურ ასპექტში, რომელიც გეოგრაფიული სახელების ენობრივ ელემენტებთან კავშირს ითვალისწინებს. ამ მხრივ ქართულ მწერლობაში ძალიან საინტერესოა გურამ დოჩანაშვილის შემოქმედება, თავისი ფილოსოფიური შეხედულებებითა და პრობლემატიკით, რომელიც სიმბოლოების სხვადასხვა სტილისტური ხერხის გამოყენებით ვლინდება. ნაწარმოებში “სამოსელი პირველი” მწერალი “ცრუ ოიკონიმების” მეშვეობით კოგნიტიურ დატვირთვას ანიჭებს ტექსტს: **ლამაზ - ქალაქი** – “ვარდისფრად შედებილ კედელთან იდგა ქალი – თეთრი კოჭებამდე კაბით, ქალაქთან მუდამ მდინარე ჩადის, ხეები, ხეები მდინარის პირას, მიწაში ღონივრად ფესვებგადგმულნი და შორიდან კი გაფოთლილი ტოტებით ჰაერს მსუბუქად ჩამოყრდნობილნი, ჰაერში მსუბუქად მოტივტივე. ხის ძირას–მადლიანი ჩრდილი, და კიდევ ბალახი, წვნიანი, რძიანი, ლორთქო” (გ. დოჩანაშვილი, 1990: 114). ტექსტში მწერალმა ირეალური ზებუნებრივი სილამაზის მქონე ირეალური სამყარო შექმნა, რომელშიც მოქმედი პერსონაჟებიც არარსებულია. სტრუქტურულად ოიკონიმი აგებულია ზედსართავისა და არსებითის მეშვეობით. ტექსტში შერჩეულია ზედსართავი, რომელიც ძალიან კონკრეტულად გადმოგვცემს არარეალურ ქალაქს, ისე როგორც მას ავტორი ხედავს. მასში ოიკონიმია გვევლინება როგორც ტოპონიმის სახესხვაობა და მას მეტაფორული დატვირთვა აქვს. ლამაზ - ქალაქი შეიძლება მივაკუთვნოთ გამომხატველ “ცრუ ოიკო-

ნიმებს”. **კამორა** – “გათენებისას მიმედ ამოტივივდებოდა ხოლმე დიდი, ნაცრისფერი, გლუვი ქალაქი-კამორა. გისოსებიან ფანჯრებში ფარდები საეჭვოდ შეირხეოდა, ყველა ფარდაზე უამრავი თვალი იყო ამოჭრილი, საგულდაგულოდ ჩარაზულ კარებში მრგვალი, კუშტი სახელურები ეკიდა-დასაბრახუნებელი”(გ. დოჩანაშვილი, 1990:345). ოიკონიმი სიმბოლურად დატვირთულია ცივი, უხეში სინონიმებით, რომელიც თავისთავად საშიშ ემოციას იწვევს. ეტიმოლოგიური ანალიზის მიხედვით შესაძლებელია **მორ**- ადებულია რუსული სიტყვისაგან **mope** – რადგან ზემოთ მოცემულ ტექსტში ნახსენებია ზედსართავი სახელი- ნაცრისფერი, დიდი, ზმნა-ტივივებდა, საეჭვოდ შეირხეოდა, რომელსაც ხშირად იყენებენ ზღვის ასაღწერად. **კა**-თავსართია და **ა**- ბოლოსართი. (**კა-მორ-ა**). ფონეტიკური ქდერადობით ჩამოგავს ესპანურ-იტალიურ ქალაქთა სახელებს, ამიტომაც შესაძლებელია ფუძე **მორა** ადებულია ესპანური ზმნისგან **morar** – საგან, რომელიც “სადმე ცხოვრებას” ნიშნავს. **კა**-ტოპონიმიში გავრცელებული თავსართია. ერთი მხრივ ესეც სიმბოლურია. **კანუდოსი** – “წვიმდა, რადაცნაირად, უგულოდ წვიმდა, მცირე წვეთები ისერებოდა დაბალ ჰაერში მიმედ ატივივებული ნესტი, და სამადსამი სევდამორეული, დაფიქრებული ვაკეირო ხის ძირას, ამოხნეკილ ფესვებზე იჯდა, ხმას არ იღებდნენ. “(გ. დოჩანაშვილი, 1990: 483). **ნუდო** – (**nudo**) იტალიური წარმოშობის სიტყვაა და როგორც ზედსართავი “მიშველს” ნიშნავს. გ. დოჩანაშვილს ირეალური სამყარო სრული სიცხადით, არსებულად აქვს წარმოდგენილი. **კა**-როგორც უკვე ვახსენეთ პრეფიქსია, **სი** – სუფიქსი. ბოლო ორი მაგალითი მიუკუთვნება ოკაზინალურ – (შემთხვევით) ოიკონიმიას. ამგვარად “ცრუ ოიკონიმები”

შესაძლებელია ლიტერატურაში წარმოდგენილი იყოს როგორც ლიტერატურული გამოხატულების ერთ-ერთი საშუალება, რომელიც გადმოგვცემს ნაწარმოების რეალურ და კოგნიტიურ ცნობიერებას. ქართული ლიტერატურის მსგავსად ფრანგული მწერლობის ტრადიციებისათვის მეტად უჩვეულო აღმოჩნდა, თანამედროვე ფრანგი მწერლების ლიტერატურული ოპუსები (opus ლათ. სიტყვაა და ნაშრომს, ნაწარმოებს ნიშნავს). ოიკონიმიის “ორმაგი ნიშანი“ გამოიყენეს ფრანგულ ლიტერატურაში. პირობითად შეიძლება ითქვას, რომ შექმნეს ახალი მიმდინარეობა “ლიტერატურული სამეცნიერო ფანტასტიკა”, რომელიც ფანტასტიკისაგან განსხვავებით არ შეიცავს აუხსნელ ელემენტებსა და მასში არ არის ჯადოსნური ელემენტები. ის არის ჩვეულებრივი ავტორისეული გამოხატვის ჟანრი, რომელიც ჩვეულებრივ წარმოდგენებს, მიღებულ პირობითობის ზღვარს სცდება. სამეცნიერო ფანტასტიკა, პირველ რიგში გონებაში განხორციელებული წარმოსახვითი ექსპერიმენტი. სწორედ ამ მეცნიერებაზე დაყრნობით გადმოგვცემს Henri Vernes თავის ნაწარმოებში “სილის ქალაქი” (La cité des sables ), სადაც ავტორი თავის გმირს უქმნის ირეალურ, წარმოსახვით სამყაროს. **Kabbah** – Kabb ერთ-ერთი სასწაული ბუდიზმში, რომელიც აკონრტოლებს დროს, სივრცეს. **ah** – ბოლოსართი გაოცების გამომხატველი ნაწილაკია. სიმბოლურია –რადგან, მწერალს ასახული აქვს საოცრებებით დატვირთული გარემო. ამრიგად შედარების სახით, გადატანითი მნიშვნელობით მიღებულია გამომხატველი “ცრუ ოიკონიმი”. **Mindao** – (*ville imaginaire est une ville qui n'existe pas dans le monde réel, où se déroule le sens...*- წარმოსახვითი ქალაქი -ქალაქი რომელიც არ არსებობს რეალურ სამყაროში და სადაც ვითარდება

მოქმედება) (Vernes, 1997:37). **mind** (ინგლისური წარმოშობის სიტყვაა და გონებას, აზროვნებას ნიშნავს), **ao** – ავტორის მიერ ნაწარმოები ბოლოსართია. ერთიანობაში მიღებულია ოკაზონალური ცრუ ოიკონიმი. “**La griffe de l’ombre jaune**“-(ყვითელი აჩრდილის ბრჭყალები). ანრი ვერნის თხზულებაში განსხვავებული სტრუქტურით არის წარმოდგენილი ქალაქის სახელწოდება, **LasV** - რომელიც შედგენილია ფრანგული სიტყვა las –საგან, რაც ნიშნავს “დაღლილს” და საკუთარი გვარის პირველი ასოსგან. ამაზე მიუთითებს ისიც, რომ ბოლო v-აღნიშნულია დიდი ასოთი. ამით ავტორი საკუთარ დამოკიდებულებას, რეალობასთან შეუსაბამობას გამოხატავს. ის ოიკონიმიის ორიგინალურ სტრუქტურას წარმოადგენს და პირობითად შეიძლება “აბრევიაციული, ცრუ ოიკონიმია” ვუწოდოთ.

### დასკვნა

მაშასადამე, ნაწარმოების თუ მოთხრობის ტექსტში ავტორს შეაქვს ერთი ან რამდენიმე ფანტასტიკური ვარაუდი, რომელსაც მეცნიერული დასაბუთება აქვს, სხვა მხრივ მოქმედება ლოგიკის, ენობრივი სტრუქტურის კანონების თანახმად ვითარდება. ამ უანრის სტილის ლიტერატურის აუცილებელი თვისება და მახასიათებელია რეალიზმი, ანუ აღწერითი მოვლენების ხასიათის დამაჯერებლობა. ამრიგად ცრუ ოიკონიმების სტრუქტურული აგებულება ინდივიდუალურად მწერალზეა დამოკიდებული, მაგრამ გარკვეულ ლინგვისტურ წესებს ემორჩილება. ამ შეთხვევაში შევეცადეთ გვეჩვენებინა, რომ ოიკონიმიის წარმოშობა არ არის დაფუძნებული მხოლოდ ეროვნულ კულტურაზე, ისტორიულ ფაქტებსა და გეოგრაფიულ მდებარეობაზე,

არამედ შესაძლებელია, რომ ავტორმა თავად თავისი ფანტაზიით შექმნას ოიკონიმი სხვადასხვა ლიტერატურულ ხერხეზზე დაყრდნობით, რომელთა კვლევა ენათმეცნიერების თვალსაზრისით ძალზე საინტერესოა.

### ლიტერატურა

1. გამყრელიძე თ. კიკნაძე ზ. შადური ი. შენგელაია ნ. თეორიული (2008): ენათმეცნიერების კურსი. თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა
2. დოჩანაშვილი გ. (1990): “სამოსელი პირველი” გამომცემლობა “საბჭოთა საქართველო” თბილისი
3. Vernes H. (1986): “La griffe de l’ombre jaune” éditions Gérard Paris
4. Vernes H. (1997): “La cité des sables” éditions Gérard Paris
5. Haman A. (1992): Les mots français, Hachette, Paris
6. Pégrier A. (2006): “Les noms de lieux en France” institut géographique national, Paris

### False Toponymy and Their Etymological Research in French and Georgian Languages

*Ketevan N. Djachy*  
*Ilia State University,*  
*Romance department*  
*32 Ilia Chavchavadze aven., 0179, Tbilisi,*  
*Georgia*  
*Tel: 899 508 337*  
 E-mail: kdjachy@yahoo.com

*Nino L. Gurguenidze*  
*Shota Rustaveli State University*  
*Department of Romance Studies*  
*35 Ninoshvili aven., 6010, Batumi*  
*Tel: 893 456 595*  
 E-mail: ngourguenidze@yahoo.fr

## **Abstract**

The article is dedicated to a problem false toponymy study in French and Georgian languages. Every literary work defines history, culture and tradition of the country and nation. Fictional characters, plots and historical facts of literary works are shown by different stylistic devices. Historical facts are often expressed by the names of places (“oikia” is a Greek word meaning home, dwelling), as a city or a town name gives us a general opinion of the nation’s culture, art and history. Thus, the names of places generally define historical plot in a literary work. There are writers who invent names of places (imaginary names of cities and towns) in order to show their imaginary world, characters, unreal facts (plots) and to express their emotions, such kind of names are called false toponymy. Town and city names are formed from invented plots and characters. In this case names of places may be considered as the author’s stylistic device. Thus, the research of the names of places with its variety, development and various perceptions creates a great interest among scientists.

## **Keywords:**

false toponymy, occasional toponymy, literary onomastika, anthroponymy

## **Ложные ойконимы и их этимологическое исследование во французском и грузинском языках**

*Джаши Кетеван Николаевна*

*Государственный университет Ильи*

*Департамент романистики*

*Просп. И. Чавчавадзе 32, 0179, Тбилиси,  
Грузия*

*Тел.: 899 508 337*

*E-mail: kdjachy@yahoo.com*

*Гургенидзе Нино Левановна*

*Государственный Университет*

*им. Шота Руставели*

*Департамент европеистики*

*ул. Ниношвили 35, 6010, Батуми, Грузия*

*Тел.: 893 456 595*

*E-mail: ngourguenidze@yahoo.fr*

## **Резюме**

Данная статья посвящается проблеме изучения ложных ойконимов во французском и грузинском языках. Каждое литературное произведение подразумевает историю нации и страны, культуру и традиции. В произведении передача исторических фактов, сюжета, персонажа происходит различными стилистическими средствами. Передача исторических фактов очень часто происходит при помощи ойконимов, так как название города даёт возможность частично создать представление о культуре нации, искусстве и истории. В данном случае ойконимы в литературных произведениях частично определяют историю сюжета. Существуют писатели, которые в своём созданном мире для передачи несуществующих фактов (сюжетов), а так же для передачи эмоций персонажей, сами же создают ойконимы (названия несуществующих городов), которые мы назвали ложными ойконимами. Исходя из характера персонажа, сюжета, происходит название города. В этом случае ойконимию можно считать, как стилистическое средство автора произведения. Поэтому, исследование ойконимов со всей своей разновидностью, развитием и разносторонним восприятием, вызывает большой интерес исследователей.

## **Ключевые слова:**

ложные ойконимы, литературная ономастика, окказиональные ойконимы, антропонимические ойконимы.